

## 69. “სტამბოლის ქართული სავანე - უმნიშვნელოვანესი კერა თურქულ - ქართული ლიტერატურული ურთიერთობების მკვლევართათვის”

Sudan ALTUN<sup>1</sup>

**APA:** Altun, S. (2023). “სტამბოლის ქართული სავანე - უმნიშვნელოვანესი კერა თურქულ - ქართული ლიტერატურული ურთიერთობების მკვლევართათვის”. *RumeliDE Dil ve Edebiyat Araştırmaları Dergisi*, (33), 1141-1153. DOI: 10.29000/rumelide.1283492

### აბსტრაქტი

თურქულ-ქართული ურთიერთობები დიდი ხნის ისტორიას ითვლის. დღეს თურქეთი დასავლური ორიენტაციის მქონე, დემოკრატიული ღირებულებების ქვეყანაა, რომელთანაც საქართველოს ახლო კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობები აქვს. ორი ქვეყნის ისტორიის ქართველივით სავანე კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიის, ლიტერატურის, ეთნოგრაფიული ყოფისა და ტრადიციების მსგავსება განაპირობა. დღესათვის უკვე საერთო მემკვიდრეობად ქცეულ სავანეებს შესწავლა, დაცვა და წარმოჩენა სჭირდება, რაც საინტერესო არის როგორც ქართველი, ასევე თურქი მკვლევრებისათვის. თურქეთი-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა საუკუნეების მანძილზე ვითარდებოდა, ლიტერატურული კონტაქტები კი ამ ორ ქვეყანას შორის მხოლოდ წინა საუკუნეში დაიწყო. ქართველმა მეცნიერებმა თავიდანვე სწორად შეაფასეს და ახალი დროის საქმედ დასახეს თურქული ლიტერატურის თარგმნა. თურქეთის ისტორიისა, თურქული ენისა და ლიტერატურისადმი ინტერესი ყოველთვის იყო საქართველოში, რაც დღესაც არ მინელებულა. უამრავი მონოგრაფია, დისერტაცია, სტატია, გამოკვლევა დაიწერა თურქული ენის თავისებურებების, ქართულ ენაში შემოსული თურქული სიტყვების, თურქულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების შესახებ. თურქული ლიტერატურით ქართველი მკითხველის დაინტერესება განსაკუთრებით ბოლო ათწლეულში შეინიშნება. ლიტერატურის კრიტიკოსები ამ მოვლენის გამომწვევ მიზეზებს ასე ხსნიან: ძალიან ბევრი მსგავსება ქართულ და თურქულ კულტურას შორის ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი ფაქტორია. ნაშრომში „სტამბოლის ქართული კულტურის სავანე - უმნიშვნელოვანესი კერა თურქულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების მკვლევართათვის“, საუბრობს ქართველთა მიერ უცხოეთში დიდი ძალისხმევითა და რუდუნებით ნაგები სავანეებისადმი კერების შესახებ, მათ მძიმე ხვედრზე, რამდენადაც ჟამთა სივრცე ბევრი მათგანი აღგავა პირისაგან მიწისა, განადგურდა უამრავი ძვირფასი ხელნაწერი, გასხვისდა არაერთი კერა ქართული კულტურისა, მაგრამ მაინც სასიამოვნო ფაქტად რჩება ის, რომ ერთადერთ გამონაკლისად იქცა სტამბოლის ქართული სავანე, სადაც მოღვაწეობდნენ ფილოსოფოსები, სასულიერო პირები, გამორჩეული მოღვაწენი ქართული კულტურისა და მეცნიერებისა, არაერთი ცნობილი ისტორიული პირი.

**საკვანძო სიტყვები:** თურქეთი, საქართველო, ლიტერატურული ურთიერთობები, სტამბოლის ქართული სავანე.

<sup>1</sup> Arş. Gör. Dr., Kafkas Üniversitesi, Fen-Edebiyat Fakültesi, Kafkas Dilleri ve Edebiyatları Bölümü / Gürcü Dili ve Edebiyatı ABD (Kars, Türkiye), sudancetinkaya2010@hotmail.com, ORCID ID 0000-0003-0227-4219. [Araştırma makalesi, Makale kayıt tarihi: 22.01.2023 kabul tarihi: 20.04.2023; DOI: 10.29000/rumelide.1283492]

## “The Georgian Savane in Istanbul - The most important center for researchers of Turkish - Georgian literary relations”

### Abstract

Turkish-Georgian relations have a long history. Today, Turkey is a western-oriented country with democratic values, with which Georgia has close good-neighborly and friendly relations. The cracks in the history of the two countries led to the similarity of the common cultural heritage, history, literature, ethnographic existence and traditions. Today, the treasure, which has already become a common heritage, needs to be studied, protected and presented, which is interesting for both Georgian and Turkish researchers. Political relations between Turkey and Georgia have been developing for centuries, and literary contacts between these two countries began only in the last century. Georgian scientists made a correct assessment from the beginning and considered the translation of Turkish literature to be a task of the new era. Interest in Turkish history, Turkish language and literature has always been there in Georgia, which has not faded even today. Numerous monographs, dissertations, articles, studies were written about the peculiarities of the Turkish language, Turkish words introduced into the Georgian language, Turkish-Georgian literary relations. The interest of Georgian readers in Turkish literature can be noticed especially in the last decade. Literary critics explain the causes of this event as follows: one of the main determining factors is the great similarity between Georgian and Turkish culture. In the work “The Georgian Savane in Istanbul - the most important center for researchers of Turkish-Georgian literary relations”, it talks about the educational centers built by Georgians abroad with great efforts and hard work, about their plight, as many of them were destroyed by the famine, many valuable manuscripts were destroyed, and many were stolen. It is the center of Georgian culture, but it is still a pleasant fact that the only exception was the Georgian Savane in Istanbul, where philosophers, clergymen, distinguished workers of Georgian culture and science, and many famous historical figures worked.

**Keywords:** Turkey, Georgia, literary relations, the Georgian Savane in Istanbul

## “Türk-Gürcü edebi ilişkileri araştırmacıları için çok önemli bir merkez - İstanbul Gürcü Ocağı”

### Öz

Türk-Gürcü ilişkilerinin uzun bir tarihi vardır. Bugün Türkiye, Gürcistan’ın yakın iyi komşuluk ve dostane ilişkilere sahip olduğu, demokratik değerlere sahip batı yönelimli bir ülkedir. İki ülke tarihindeki yakın ilişkiler, ortak kültürel mirasın, tarihin, edebiyatın, etnografik varlığın ve geleneklerin benzerliğine yol açmıştır. Günümüzde artık ortak bir miras haline gelen hazinenin araştırılması, korunması ve tanıtılması hem Türk hem de Gürcü araştırmacıların ilgisini çekmektedir. Türkiye ile Gürcistan arasındaki siyasi ilişkiler yüzyıllardır gelişmektedir ve bu iki ülke arasındaki edebi temaslar ancak son yüzyılda başlamıştır. Gürcü bilim adamları başından itibaren doğru bir değerlendirme yapmışlar ve Türk edebiyatının çevirisini yeniçağın bir görevi olarak görmüşlerdir. Türk tarihi, Türk dili ve edebiyatına olan ilgi Gürcistan’da her daim vardı ve günümüzde de artarak devam etmektedir. Türk dilinin özellikleri, Gürcüceye kazandırılan Türkçe kelimeler, Türk-Gürcü edebî ilişkileri hakkında çok sayıda monografi, tez, makale, inceleme yazılmıştır. Gürcü okurların Türk edebiyatına olan ilgisi özellikle son on yılda fark edilmektedir. Edebiyat eleştirmenleri bu olayın nedenlerini şöyle açıklamakta: Ana belirleyici faktörlerden biri Türk ve Gürcü kültürü arasındaki

büyük benzerliktir. “Türk-Gürcü Edebi İlişkileri Araştırmacıları İçin çok Önemli Bir Merkez - İstanbul Gürcü Ocağı” adlı çalışmada, Gürcülerin yurt dışında büyük zahmet ve emeklerle kurdukları dil, eğitim, kültür merkezlerinden biri olan İstanbul Gürcü Ocağı’ndan bahsetmektedir. Dünya üzerinde farklı ülkelerde yer alan bu ocaklar zamanla maddi yokluk sebebiyle kapanmak zorunda kaldı. Bu merkezlerde yazılan ve çıkan birçok değerli el yazması eser yok oldu veya çalındı. Gürcü kültürünün merkezi konumunda olan bu tek istisnai yer İstanbul’da korunmakta ve faaliyetlerine devam etmektedir. Filozofların, din adamlarının, dil, kültür, edebiyat ve tarih bilimi araştırmacılarının uğrak noktası İstanbul Gürcü Ocağı’nın Türk-Gürcü edebi ilişkileri çalışmaları için de çok önemli bir merkez olduğu aşikârdır.

**Anahtar kelimeler:** Türkiye, Gürcistan, edebi ilişkiler, İstanbul Gürcü Ocağı.

*“სიცოცხლე ჩვენი არც დედისაა, არც მამის, ის სამშობლოსია!”*

სიმონ ზაზაძე

### 1. სტამბოლის ქართული სავანე

ქართველების მიერ საუკუნეთა მანძილზე უცხოეთში ნაშენები ქართული საგანმანათლებლო ცენტრები თითქმის ყველა დაიკარგა: განადგურდა ხელნაწერების უმეტესობა, გაიძარცვა, გასხვისდა ათონის ივერიონი, ჯვრის მონასტერი პეტრიწონი, სინა, შავი მთისა თუ ანტიოქიის კერები... ამჟამად ერთადერთ გამონაკლისს, საიმედოდ შენახულსა და დაცულს, წარმოადგენს სტამბოლის ქართული სავანე.

სტამბოლი (ძვ. კონსტანტინოპოლი) უხსოვარი დროიდან იზიდავდა ქართ-ველებს. თუმცა სტამბოლში ქართული კულტურისა და განათლების კვალის შესახებ ძველი ქართული, ბერძნული ლათინური, ფრანგული, არაბული, ებრაული წყაროები ჯერჯერობით მხოლოდ IX საუკუნიდან მოგვეპოვება.

სტამბოლში წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ქართველი ფილოსოფოსები, მთარგმნელები, სასულიერო პირები, წმინდანები. მათ სორის აღსანიშნავია წმინდანები – ილარიონ ქართველი და გიორგი მთაწმინდელი. ილარიონ ქართველი აქვია დაკრძალული. სტამბოლში ორ წელზე მეტ ხანს ცხოვრობდა სულხან-საბა ორბელიანი. ეძიებდა გზებს საქართველოს გადასარჩენად. სტამბოლში, გალათას უბანში შემოვიდა და თავისი ამალით დასახლდა დიდი მოურავი გიორგი სააკაძე. სტამბოლში შვიდკოშკიანი სასახლე – ედიყულეს ციხე, დღესაც აღძრავს მწარე მოგონებებს წარსულის შესახებ და გვაუწყებს სვიმონ მეფის ტრაგიკული სიცოცხლის დასასრულს.

მარიამ დედოფალმა, ბიზანტიის უკანასკნელმა დედოფალმა (მეუღლე კონსტანტინე მეთერთმეტე, რომელიც 1453 წლის 29 მაისს კონსტანტინოპოლის დაცვის დროს დაიღუპა), თავისი ქონება თითქმის მთლიანად შესწირა ათონის მონასტრებს, ათონის ივერიონის დეკანოზ კონჭოშვილის ცნობით, 1899 წელსაც კი ახსოვდათ ათონელ ბერმონაზონთ მარიამ ბაგრატიონის სიკეთე და იხსენებდნენ როგორც „კეთილ მარიამს“.

სტამბოლის ერთ-ერთ უბანში – გალათაში – უძველესი დროიდან არსებობდა ქართველთა ახალშენი-დასახლება. 1453 წლიდან ოსმალებმა ამ ადგილს უწოდეს „გურჯუ კაფუ“ – „ქართველთა კარი“ და დღემდე ასეა ცნობილი. გალათაში ქართველებს ჰქონდათ თავიანთი სალოცავი, საყდარი

(როგორც იქაურები უწოდებენ) წმ.პეტრეს სახელობის ეკლესია. აქაური ქართველები უმეტესად მესხეთ-ჯავახეთიდან გადმოსახლებული კათოლიკეები იყვნენ (ფუტკარაძე, 2002: 9).

ქართველების რიცხვი სტამბოლში განსაკუთრებით გაიზარდა 1828–29 წლებისა და 1877–78 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომების შემდეგ. პროცესი, რამაც გამოიწვია ქართველების მიგრაცია, კარგადაა აღწერილი თვითმხილველების, მოგზაურების, ისტორიული წყაროების, XIX საუკუნის ცნობილ ქართველ მოღვაწეთა სხვათა მიერ.

საქართველოდან თურქეთში გადახვეწილი ქართველების აღსანიშნავად აღსანიშნავად გამოყენებულია სიტყვა „მუჰაჯირი“, რომელიც ჩვენს ენაში დამკვიდრდა მე-19 საუკუნის ბოლო მეოთხედში და ნიშნავს ემიგრანტს, გადახვეწილს, სამშობლოდ წასულს. ტერმინი „მუჰაჯირი“ არაბულია; მუჰაჯირი ქართველები კი თავისიანებს „ჩვენებურებს“ ეძახიან (ფუტკარაძე, 1993: 9).

მუჰაჯირობის ისტორია, მისი გამომწვევი მიზეზები კარგად არის შეფასებული სპეციალურ ლიტერატურაში. ეს საკითხი, ომის შედეგები, მძიმე სოციალური და ეკონომიკური პირობები, რუს ხელისუფალთა მმართველობის ბარბაროსული ფორმები და გამუსულმანებული მოსახლეობის რელიგიური ფანატიზმი – სხვადასხვა კუთხით არაერთგზისაა აღწერილი ილია ჭავჭავაძის, ექვთიმე თაყაიშვილის გრიგოლ ორბელიანის, სერგეი მესხის, ზაქარია ჭიჭინაძის, მემედ-ბეგ აბაშიძის, პეტრე უმიკაშვილის და სხვათა მიერ.

თურქეთში მომრავლებულმა და მომძლავრებულმა ქართველობამ სტამბოლის უბნებში – გალათაში, სოსთენეში, ვეზირხანში, პერაზე, ფაფასქვერში, უსკუდარში – დააარსეს სალოცავები, რომლებიც გახდა ქართველთა კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები. თუმცა მათი კვალი ჟამთაგულამ წაშალა.

სანტერესოა უსკუდარის ეკლესია-მონასტრის ბედი, რომელიც გასული საუკუნის 20-იან წლებამდე ფუნქციონირებდა. იგი დააარსა მამა პეტრეს (პეტრე ხარისჭირაშვილის) მიერ ჩამოყალიბებულმა საზოგადოებამ. (ეკლესია აშენდა 1861 წელს და აქვე დაფუძნდა დედათა და მამათა მონასტერი). ანდერძის თანახმად წირვა-ლოცვა ქართულ-ბერძნულ ენაზე უნდა წარმოებულყო. 1881 წელს გაიხსნა ქართულ-ბერძნული სკოლა. მაგრამ ეკლესიის ბედი უკუღმა დატრიალდა 1910 წლიდან, როცა ეპისკოპოსმა სარდიმ ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა მოსპო და საყდარი თავისი შემოსავლებიანი სახლებითა და მრევლით მახლობელ უბანში მდებარე ლათინთა ეკლესიას მიაკუთვნა. ამ არასასიამოვნო ამბავს დიდი გამოხმაურება მოჰყვა, როგორც საქართველოში ისე სტამბულსა და ევროპის რიგ ქვეყნებში. განსაკუთრებით აქტიურობდა ფრანგულენოვანი გაზეთი „ლა ტურკი“, რომელმაც არაერთი წერილი დაბეჭდა. დავას ქართველებსა და იტალიელებს შორის იძიებდა ვექილი საბრო-ბეგ შამბაშიძე და ოსმალეთის უმაღლესი საბჭოს წევრი, შარიათის პროფესორი მუფთი ხასან-ფეჰმი ირემაძე. თუმცა საქმის საბოლოო გამოძიებისა და სამართლიანი განჩინების გამოტანას ხელი პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ შეუშალა და ეს საკითხი მივიწყებას მიეცა (სახალხო გაზეთი, 1911).

საბედნიეროდ სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა სტამბოლის ერთ-ერთ უბანში, ფერიქოაში, ქართველ კათოლიკეთა სავანე (ეკლესია-მონასტერი), რომელიც ასევე დაფუძნა ახალციხელმა ქართველმა მამა პეტრე ხარისჭირაშვილმა, ცნობილი ქველმოქმედის იაკობ ზუბალაშვილის დახმარებით. მამა პეტრეს თაოსნობით 1861 წელს სტამბოლის ერთ ლამაზ უბანში-ფერიქოაში, ბომონთში აშენდა წმ. მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია. მალე გაიხსნა მამათა და დედათა მონასტრებიც. 1870 წელს ამუშავდა სტამბა, სადაც 200-ზე მეტი დასახელების წიგნი დაიბეჭდა. დაფუძნდა ბიბლიოთეკა.

1908 წელს ფერიქოსის სავანეში ოფიციალურად გაიხსნა აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკა, სადაც წლების განმავლობაში ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა ქვეყნებიდან იგზავნებოდა ემიგრანტული ლიტერატურა; ამ ბიბლიოთეკაში დღემდეა დაცული უნიკალური ქართული გამოცემები დაბეჭდილი როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ არსებულ სტამბებში (ნაჭყებია, 2009: 10).

თურქულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების მკვლევართათვის მნიშვნელოვანია სტამბოლის ქართული სავანის, როგორც ქართული კულტურის უძლიერესი კერისა და იქ შექმნილი თარგმნილი თუ ორიგინალური ნაწარმოებების მიმოხილვა. როგორც ამ კერის ცნობილი მკვლევარი შუშანა ფუტყარაძე მიგვითითებს ეს სავანე XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში გადაიქცა ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა კულტურისა და განათლების ცენტრად, მათი ერთიანობისა და ძმობის ტაძრად, სამშობლოდან გადახვეწილ ქართველთა მშობლიურ კერად (ფუტყარაძე, 2012: 18). განუზომელია ამ კულტურის ცენტრის მიერ გაწეული ღვაწლი თურქეთ–ში მცხოვრები მილიონობით ქართველის განათლებისა და თვითშეგნების ამაღლებისთვის. თავისი ეროვნული მნიშვნელობით, ქართული კულტურის ეს ცენტრი საზღვარგარეთ ამ პერიოდში არსებული ერთ–ერთი ყველაზე მასშტაბური რელიგიური, კულტურული და საგანმანათლებლო კერა იყო. სტამბოლის ქართული სავანე თავისი დანიშნულებით, ქართველი ერის წინაშე გაწეული სამსახურით, ბევრად ემსგავსება ადრეულ საუკუნეებში საზღვარგარეთ მოქმედ სხვა კულტურულ–საგანმანათლებლო კერებს (ფუტყარაძე, 2012: 23).

როგორც მკვლევარი გურამ შარაძე წერს, ქართველ კათოლიკეთა მონასტერი სტამბოლის მაშინდელ განაპირა, დღეს კი დიდად პრესტიჟულ უბანში – ფერიკევიში აგებულია (1859–1861 წწ.) ღვთისმშობლის უმანკოდ ჩასახების სახელობაზე. მონასტერთან არსებულია როგორც მამათა ისე დედათა სავანე. პეტრე ხარისჭირაშვილს ეკლესიაში წირვა–ლოცვა ქართულ ენაზე დაუწესებია, აგრეთვე, დაუარსებია სასწავლებელი, წიგნთსაცავი და სტამბა, შეუძენია საკმაოდ ვრცელი სამონასტრო მიწები. მამა პეტრეს მხარში ედგნენ ახალციხიდან წამოსული მოწაფეები – იოსებ მამუკაშვილი, ივანე გვარამაძე (ვინმე მესხი) და სტეფანე გიორგაძე. სამონასტრო სკოლაში საღმრთო საგნებს გარდა ასწავლიდნენ ექიმობას, წამლების კეთებას უცხო ენებს, მასწავლებლობას... ამ სკოლამ ბევრი სასიკადალო მამულიშვილი გამოზარდა. მათ შორის საკმარისი დავასახელოთ საქვეყნოდ ცნობილი ქართველი მეცნიერები მიხეილ თამარაშვილი და მიქელ თარხნიშვილი, აგრეთვე, ერთ დროს აქაური მღვდელი, უკანასკნელად ბეირუთის უნივერსიტეტის პროფესორი შალვა ვარდიძე...

კონსტანტინეპოლის ქართული სავანე ჯერ კიდევ 1870–იანი წლებიდან შესდგომია ქართული წიგნების ბეჭდვას, რომელთა უმეტესობა აღწერილია „ქართული წიგნის“ ბიბლიოგრაფიაში, ნაწილი კი ჩვენი ისტორიული ბედუკუდმართობის გამო, საერთოდ არ მოხვედრილა საქართველოში და ამდენად, უცნობია ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიისათვის (შარაძე, 1993: 461–463).

გარდა სასულიერო (ქრისტიანული) შინაარსის გამოცემებისა, წიგნთსაცავში ასევე საკმაოდ მრავლად გვხვდება სახელმძღვანელოები, ლექსიკონები, მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა, ისტორიული და პოლიტიკური ხასიათის გამოცემები, ქართველი ემიგრანტების მიერ ევროპასა და ამერიკაში დაბეჭდილი წიგნები და ჟურნალ–გაზეთები. ბეჭდურ პროდუქციასთან ერთად, მონასტრის არქივში ძველი ქართული ხელნაწერებიცაა საკმაოდ მრავლად დაცული (ნიკოლეიშვილი, 2015: 66).

სტამბოლის ქართული სავანის ისტორიის ცნობილი მკვლევარის, შუშანა ფუტყარაძის ინფორმაციით, ამ სავანის სიძველეთსაცავში დღესდღეობით დაცული დოკუმენ–ტების რაოდენობა 83 000 ერთეულზე მეტია. ხელნაწერთა და გამოცემათა უდიდესი ნაწილი (80 პროცენტზე მეტი)

ქართულენოვანია, დანარჩენი კი ლათინურ, ფრანგულ, თურქულ, არაბულ და სხვა ენებზე (სულ—17 ენაზე) არის შესრულებული. სავანის არქივის უნიკალურობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ იქ ადრინდელ საუკუნეებში გამოცემული წიგნებიც ყოფილა დაცული. მათგან ყველაზე ძველი 1523 წელს ლათინურ ენაზე დაბეჭდილი სახარებაა (ფუტკარაძე, 2012: 68).

## 2. სტამბა

სტამბოლში ქართული კულტურის განვითარებას დასაბამი XIX საუკუნის 60- იანი წლებიდან. სტამბოლში ქართული დასახლებანი, სავაჭრო ცენტრები, ეკლესიები და სასწავლებლები ადრეც არსებობდა, მაგრამ ხელშესახებად მნიშვნელოვანი როლი ამ თვალსაზრისით მათ არ შეუსრულებიათ. სტამბოლის ქართული სავანის გადაქცევას ქართული კულტურისა და მწიგნობრობის ერთ-ერთ მძლავრ უცხოურ კერად პ. ხარისჭირაშვილის მიერ 1870 წელს იქ ქართული სტამბისა და გამომცემლობის დაარსებამაც არსებითად შეუწყო ხელი. მოყოლებული 1870 წლიდან 1933 წლამდე სტამბოლის ქართულ სტამბაში ათეულობით ქართული წიგნი დაიბეჭდა. სტამბოლის გამომცემლობა მხატვრულ ლიტერატურას გარდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებულ პოლიტოლოგიურ წიგნებსაც და უცხოური მხატვრული ლიტერატურის ცალკეული ნიმუშებისა და საქართველოსთან დაკავშირებით უცხოელ ავტორთა მიერ დაწერილი ნაშრომების ქართულ თარგმანებსაც სცემდა. იქაური გამომცემელი XX საუკუნის ათიან და ოციან წლებში ამ თვალსაზრისით იმდენად დიდ აქტიურობასაც კი იჩენდნენ, რომ მხატვრული ტექსტებისა (როგორც ორიგინალურისა, ისე ნათარგმნისა) და მეცნიერულ-პოლიტოლოგიური ნაშრომების გამოცემა იმდროინდელი მათი საქმიანობის უმთავრეს მიმართულებად იქცა.

1870 წლიდან მეოცე საუკუნის 30–იანი წლების შუა ხანებამდე სტამბოლის ქართულ სტამბაში ათეულობით ქართული წიგნი დაიბეჭდა. თემატურად ეს წიგნები ოთხ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: ესენია:

1. სასულიერო ხასიათის გამოცემები;
2. სასწავლო და ზოგად საგანმანათლებლო წიგნები;
3. მხატვრული, ისტორიული და საქართველოს ეროვნულ – სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებული პოლიტოლოგიური ხასიათის გამოცემები;
4. უცხოური მხატვრული ლიტერატურის ცალკეულ ნიმუშთა და საქართველოსთან დაკავშირებით უცხოელ ავტორთა მიერ თარგმნილი ქართული თარგმანების გამოცემები (ნიკოლეიშვილი, 2015: 85–88).

ჩვენთვის საინტერესო ამ გამოცემებიდან გახლავთ ქართული მხატვრული ლიტერატურის და ისტორიულ – პოლიტიკური აზროვნებისთვის მნიშვნელოვანი ნაწარმოებების და მწერლების წარმოჩენა, რადგანაც სწორედ ეს ნაშრომები ასახავენ თურქულ - ქართული ლიტერატურული ურთიერთობების იმ მნიშვნელოვან ეტაპს, რომელიც შემდგომში, მეოცე საუკუნის ლიტერატურული ურთიერთობებით გაგრძელდა და რომელიც დღეისთვის მნიშვნელოვან, ახალ, ეტაპზეა გადასული.

სტამბოლის ქართულ სავანეში XIX საუკუნეში ძირითადად რელიგიური და მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასწავლო ლიტერატურა გამოიცემოდა. პირველი ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც აქ დაისტამბა, იყო ივანე გვარამაძის „ყვავილების კონა“, რომელიც, როგორც ა.

ნიკოლეიშვილი (გვ. 95) აღნიშნავს, ლიტერატურულად დახვეწილი კრებული არ არის, მაგრამ ინტერესს იწვევს იმის გამო, რომ აქ დასტამბული პირველი პოეტური კრებულია.

სტამბოლში გამოცემული არასასულიერო ხასიათის წიგნების ავტორთა უმრავლესობას ან ამ ქალაქს დროებით თავშეფარებული პოლიტიკური ემიგრანტები წარმოადგენდნენ, ანდა ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები. ერთადერთი წიგნის ავტორი კი არაემიგრანტიც იყო – სტამბოლში იმხანად ხანმოკლე პოლიტიკურ – დიპლომატიური მისიით მყოფი პავლე ინგოროყვა (ნიკოლეიშვილი, 2015: 101).

სტამბოლის ქართულ სავანეში გამოცემული წიგნებიდან ჩვენი ლიტერატურული ურთიერთობების ამსახველი საქმიანობები ვრცლად აქვს განხილული ლიტერატურათმცოდნესა და ცნობილ ქართველ მკვლევარს ავთანდილ ნიკოლეიშვილს, რომელსაც ფასდაუდებელი შრომა აქვს გაწეული ამ მნიშვნელოვან ქართულ სავანეში მოღვაწე ადამიანების ნაშრომთა კლასიფიცირებასა და თურქულ - ქართული ლიტერატურული და კულტურული ურთიერთობების ქართულ სამეცნიერო სივრცეში წარმოსაჩენად. მიუხედავად იმისა, რომ სტამბოლის ქართულ სავანეში დაცული ნაწერების სრული აღწერა და შესწავლა ბევრ სასიამოვნო სიურპრიზს პირდება მკვლევარებს, დღეისათვის ცნობილი და შესწავლილი ავტორების საქმიანობა ასე გამოიყურება:

**პეტრე სურგულაძე:** 1. საქართველო თავისუფლებისაკენ; 2. საქართველო როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო; 3. დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობა; 3. სურგულაძის მიერ ამ წიგნების გამოცემა დაკავშირებული იყო საქართ-ველოს იმდროინდელ პოლიტიკურ საჭიროებებთან და მისი შეხედულებები საქართ-ველოს დამოუკიდებლობაზე, ეს წიგნები იყო ანგარიშგასაწევი და აქტუალური.

**პავლე ინგოროყვა:** 1918 წელს გამოცემული წიგნი „საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ“ არის საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეთათვის დასარიგებელი წიგნი, სადაც უნდა განეხილათ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი. ეს კონფერენცია არ გაიმართა. წიგნი განხილული საკითხები სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო და პავლე ინგოროყვა ისტორიულ დოკუმენტებსა და მყარ სტატისტიკურ მონაცემებზე დამყარებით აცლიდა საფუძველს ყველა იმ ტერიტორიულ პრეტენზიას, რომელსაც საქართველოს უყენებდნენ იმხანად მისი მოწინააღმდეგე ქვეყნები.

**ნიკოლო მიწიშვილი:** სტამბოლის სავანესთან არსებული ქართული გამოცემლობების მიერ დასტამბულ ორიგინალურ მხატვრულ ნაწარმოებთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ნიკოლო მიწიშვილის პოეტური კრებული „შავი ვარსკვლავი“. ეს წიგნი პოეტის მეორე კრებულია. ნ. მიწიშვილის პოეტური კრებულისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის გარემოება, რომ მასში შეტანილი ლექსებით ავტორმა საკმაოდ მძაფრად გამოხატა სულიერი სასოწარკვეთა ცხოვრებისეული მიზანსწარაფვის ვერმპოვნელი და მსოფლმხედველობრივად გაორებული ქართველი ემიგრანტისა (ნიკოლეიშვილი, 2015: 135).

**ნოე ჟორდანიას:** 1923 წელს, თავისი მთავრობის წევრთა დიდ ნაწილთან ერთად იმ დროისათვის უკვე საფრანგეთის დედაქალაქში დამკვიდრებულმა, მან სწორედ სტამბოლის ქართულ კათოლიკურ ეკლესიასთან არსებულ სტამბა-გამომცემლობაში დასტამბა ემიგრანტობის პერიოდში დაწერილი თავისი ახალი წიგნი „ბრძოლის საკითხები“. ეს წიგნი ახალი რეალობიდან გამოსავლის მოსაძებნად დაწერილ ერთგვარ საპროგრამო წიგნადაც შეიძლება მივიჩნიოთ. ნოე ჟორდანიას ამ წიგნში მკითხველს განუმარტავდა თუ როგორ შეიძლებოდა საქართველოს აღედგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. (ნიკოლეიშვილი, 2015: 150 )

**ვანო ალიხანაშვილი:** 1923 წელს სტამბოლში გამოიცა ვანო ალიხანაშვილის პოლიტოლოგიური ნარკვევი „რამ დაგვლუპა და რა გვიხსნის“. აღნიშნული წიგნის გამოცემით სტამბოლის ქართული სავანის გამომცემლობა კვლავაც შეეცადა ფართო საზოგადოების სამსჯავროზე განსასჯელად გამოეტანა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის განმაპირობებელი გარემოებანი და მათი დაძლევის სამომავლო პერსპექტივები (ნიკოლეიშვილი 2015: 152).

**პავლე მოსულიშვილი:** 1922 წელს დაუწერია და გამოუცია სტამბოლის სავანის გამომცემლობაში ერთადერთი დრამატული ჟანრის ნაწარმოები „შენ ხარ მზე“, ეს არის ოთხმოქმედებიანი ფანტასტიკური ეტიუდი საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებიდან.

მართალია, პავლე მოსულიშვილმა თავის პიესაში ჩვენი ქვეყნის ისტორიის მხოლოდ რამდენიმე ფართოდ ცნობილი ეპიზოდი წარმოსახა, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილ ამ ეპიზოდთა ხორცშესხმის უმთავრესი მიზანი პირველ ყოვლისა იმ საბრძოლო სულისკვეთების განდიდებაა, რითაც მთელი ჩვენი ისტორიის განმავლობაში იბრძოდა ქართველი ხალხი ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. ნაწარმოების მესამე მოქმედებაში, სადაც სადაც საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობის ამბავია მოთხრობილი, მწერალმა ჩვენი ეროვნული ყოფისთვის უაღრესად მნიშვნელოვან სამ უმთავრეს მხარეს მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება – გასული საუკუნის პირველი ოცწლეულის საქართველოში პოლიტიკურ პარტიათა მესვეურებს შორის ეროვნული და ინტერნაციონალური ინტერესების ერთმანეთთან მიმართების გარკვევასთან დაკავშირებით წარმოქმნილ უკომპრომისო დაპირისპირებას, საკუთარი სამშობლოს გამყიდველთა და მოღალატეთა საბედისწერო როლს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში და საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ორიენტაციის პრობლემას (ნიკოლეიშვილი, 2015: 173).

1917–1923 წლებში სტამბოლის ქართული სავანესთან არსებული სტამბა–გამომცემლობის საქმიანობის უმთავრეს მიმართულებად ჯერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებული წიგნების გამოცემა იქცა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ქართველ მხედართა კავშირის მიერ მომზადებული და 1923 წელს გამოქვეყნებული კრებული „სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა ხსოვნას“ (სამწუხაროდ, წიგნში მის შემდგენელ – გამომცემელთა ვინაობა მითითებული არ არის) აღნიშნული გამოცემით მისი ავტორშემდგენელნი და სტამბოლს თავშეფარებული ჩვენი პოლიტიკური ემიგრანტები ოპერატიულად გამოეხმაურნენ საბჭოთა ხელისუფლების მესვეურთა ბრძანებით საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად მებრძოლ ქართველ პატრიოტთა მასობრივად დახვრეტის ტრაგიკულ მოვლენას (ნიკოლეიშვილი, 2015: 178).

**ალექსანდრე მანველიშვილი:** ამერიკაში მცხოვრები ქართველმა მეცნიერმა ალექსანდრე მანველიშვილმა 1932 წლის 10 აპრილს პარიზის საზოგადოებრივების მოხსენებად წაკითხული წიგნი „ვეფხისტყაოსანი და რუსთველის ზნეობრივი იდეოლოგია“, სტამბოლის სავანის მღვდელმსახურის შალვა ვარდიძის ინიციატივითა და დაფინანსებით 1933 წელს გამოსცა. ეს იყო სტამბოლის ქართული სავანის მიერ დასტამბული უკანასკნელი წიგნი (ნიკოლეიშვილი, 2015: 183).

### 3. სტამბოლის ქართულ სავანეში გამომცემელი ნათარგმნი წიგნები

1921 წელს სტამბოლის ქართული სავანის მღვდელმსახურმა შალვა ვარდიძემ თარგმნა და გამოსცა ევგენი დალეჯიო დ'ალესიოს „ქართველები კონსტანტინეპოლში“ და რემონ ჟანენის „ქართველები იერუსალიმში“. 1924 წელს კი მათ მიხაკო წერეთლის მიერ თარგმნილი „გილგამეშიანიც“ შეემატა. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული გამომცემები ორიგინალურ ნაწარმოებებს არ წარმოადგენდა, ისინი მაინც იქცა ჩვენი სულიერი კულტურის მნიშვნელოვან შენამენად. ამ თვალსაზრისით



განსაკუთრებით საინტერესო, პირველ ყოვლისა, შალვა ვარდიძის თარგმანებია, რომელთა გამოცემითაც სტამბოლურმა გამომცემლობამ ქართველ ემიგრანტ ავტორთა მიერ იქ დასტამბულ წიგნებში მძაფრად გამოვლენილ ეროვნულ-პატრიოტულ მისწრაფებებს კიდევ უფრო ფართო მასშტაბები შესძინა იმით, რომ ჩვენი ერის დიდ ისტორიულ წარსულსა და იმჟამინდელ პრობლემებზე ამჯერად უცხოელები წერდნენ უღრმესი სიყვარულითა და სათანადო დოკუმენტებზე დაყრდნობით (ნიკოლეიშვილი, 2015: 190).

**ევგენი დალეჯიო დ'ალესიო** მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე იტალიელი დიპლომატი, სწავლული და მოგზაური საქართველოზე თავდავიწყებით შეყვარებული პიროვნება იყო. 1918 წელს, როდესაც საქართველოს დიპლომატიური მისია კონსტანტინოპოლში ჩავიდა, იქ მყოფი დალეჯიო ამ მისიის მდივანი გახდა, საქართველოს ქვეშევრდომობა მიიღო, იმოგზაურა ამ ქვეყანაში და ქართული ენა შეისწავლა. დალეჯიო მაღალ შეფასებას აძლევდა სტამბოლის ქართულ სავანეს და თვლიდა, რომ ეს იყო ქართველთა ეროვნული თვითშეგნების განმტკიცების დიდი კერა თურქეთში.

თურქეთში მცხოვრებ ქართველებთან დაკავშირებით საყურადღებოა ევგენი დალეჯიო დ'ალესიოს წიგნი „ქართველები კონსტანტინეპოლში და სპარსეთში“. წიგნის ავტორი წარჩინებულ იტალიელთა ოჯახის შთამომავალია. ის დაუახლოვდა კონსტანტინეპოლში მცხოვრებ ქართველებს, მან იმოგზაურა საქართველოში, ისწავლა ქართული ენა. იგი დაინტერესდა თურქეთში გადახვეწილი ქართველებით და 1921 წელს მათ შესახებ დაწერა წიგნი. ნაშრომი მნიშვნელოვანი წყაროა კონსტანტინეპოლში მცხოვრები ქართველების, მათი რაოდენობის, ქართული ენის მდგომარეობის შესწავლის თვალსაზრისით. ავტორი ახასიათებს ქართველების მდგომარეობას, განმარტავს მათი წარმატების მიზეზებს. ქართული ენის შესახებ წერს: „ქართველთა სამშობლო ენა მაინც დღემდის შენახული აქვთ, თუმც ოსმალეთის მთავრობა იმათ გათურქებას ძალიან ცდილობს. ქართველ მუსლიმანთა სოფლებში ყველა ოჯახის ენა-ქართულია, რადგან ქალი საზოგადოებაში ვერ გადის და ასე თუ ისე თურქებთან დიდი მიმოსვლა არა აქვს, სამშობლო ენა დღემდის დაცულია; მხოლოდ დღეს ქართულ ენასაც დიდი განსაცდელი მოელის (დ'ალესიო, 1990: 14). დ'ალესიო ასევე საუბრობს ქართველთა ეროვნული შეგნების-ცნობიერების საკითხზე და წერს: „ეროვნული შეგნება ქართველ მუსლიმანებში საერთოდ არ არის განვითარებული, რადგან სჯულის ფანატიზმს მარადის დაუქვეითებია იგი. თუმც სისტემატიურად თურქიზმი სპობს მას, მაგრამ, პრაქტიკულად კი, ეროვნული გრძნობა დღესაც ძალზე ცოცხალია მათში. საერთოდ ყველანი ამაცობენ, რომ გურჯები-ქართველები არიან და თუ სადმე ან თავიანთი ქრისტიან ქართველს შეხვდნენ, საზოგადოდ გარეგნულად მაინც პატივს სცემენ და შეგნებულნი კი, ყოველნაირ დახმარებასაც აღმოუჩენენ თუ შესაძლებელია“ (დ'ალესიო, 1990: 14).

ევგენი დალეჯიო დ'ალესიოს თარგმნა და სტამბოლში გამოსცა შალვა ვარდიძემ, რომლის სამეცნიერო – ლიტერატურული საქმიანობაც გვიჩვენა ამ წიგნის ხელმეორე გამომცემელმა გურამ შარაძემ. მისი კვლევის მიხედვით, კონსტანტინეპოლის ქართული სავანის წევრთა შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს პატრ შალვა ვარდიძეს, რომელიც გარდა სასულიერო მოღვაწეობისა, ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობასაც ეწეოდა. გარდა მეცნიერული ნაშრომებისა, შალვა ვარდიძეს პოეზიაშიც უცდია კალამი. ეს არის პარიზში გამომავალ ქართულ ჟურნალ „ბედი ქართლისაში“ დაბეჭდილი ორი ლექსი „ჩემი ლოცვა“ და „წმინდა ნინოს“, ეს ლექსები პატრიოტული ხასიათისაა და ავტორი, რომელიც ნატრობს სამშობლოს მიწაში დასაფლავებას, შესთხოვს საქართველოს განმანათლებელს კვლავ გადმოხედოს მის ბედკრულ სამშობლოს (დ'ალესიო, 1990: 49–53).

**რემონ ჟანენი** ცნობილი ფრანგი ხელოვნებათმცოდნე, მკვლევარი და ბიზანტიოლოგია. გამოჩენილ მეცნიერს საქართველოს შესახებ სხვა ნაშრომებზე აქვს დაწერილი. „ქართველები იერუსალიმში“ რემონ ჟანენის მიერ პალესტინაში გამოკვლეული ქართული სავანეების საფუძველზე დაიწერა. ამ

წიგნისადმი ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ ქართული ეკლესიის უდიდეს საერთაშორისო ავტორიტეტზე და წარსულ დიდებაზე უცხოელი მკვლევარი წერს. ამ ნაშრომს იერუსალიმში ქართველ ღვთისმსახურთა მოღვაწეობისა და იქ არსებულ ქართულ სიწმინდეთა შესწავლის თვალსაზრისით უაღრესად დიდ მნიშვნელობა აქვს.

**იასე მეხუზლას (რაჭველის) შემოქმედებითი მოღვაწეობა სტამბოლში.** იასე რაჭველი მეცხრამეტე – მეოცე საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწეობდა სტამბოლში და მას, მართალია, წიგნი არ გამოუცია, მაგრამ თავისი პუბლიცისტური წერილებით ეხმაურებოდა მაშინ მიმდინარე დიდ პოლიტიკურ და კულტურულ პროცესებს ორივე ქვეყანაში. სტამბოლში ცხოვრების პერიოდში იასე რაჭველის ეროვნულ–პატრიოტული მოღვაწეობა ძირითადად ორი მიმართულებით წარიმართ – ერთის მხრივ, იგი აქტიურად ცდილობდა იქაურ ქართველებში შეძლებიდაგვარად გაელვებინა ეროვნული ცნობიერება, მეორეს მხრივ კი მოკავშირის როლი შეესრულებინა თურქეთში მცხოვრებ ქართველობასა და საქართველოს შორის.

სტამბოლის სავანემ, როგორც ქართული სულიერებისა და კულტურის კერამ XX საუკუნის 60–იანი წლებიდან, ფაქტობრივად არსებობა შეწყვიტა. მართალია, რთული და ძნელად დასაძლევია წინააღმდეგობანი მის ისტორიაში მანამდეც არაერთხელ ყოფილა, მაგრამ სავანეში მოღვაწე ქართველი მღვდელმსახურთა აქტიური ძალისხმევით შედეგად ვითარების სასიკეთოდ შეცვლა იმხანად მაინც ხერხდებოდა. (ნიკოლეიშვილი, 2010: 75) XIX საუკუნის 60–იან წლებში პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ სტამბოლში აგებულ ქართველ კათოლიკეთა მონასტერთან დაარსებულ სტამბა–გამომცემლობაში 70–იანი წლებიდან დაწყებული საგამომცემლო საქმიანობა 1933 წლამდე გაგრძელდა, შემდგომ კი შეწყდა და ამ დიდი ეროვნული საქმის ასაღორძინებლად გარკვეული ნაბიჯები მხოლოდ გასული საუკუნის 70–იანი წლებიდან ჯერ ახმედ მელაშვილმა გადადგა ჟურნალ „ჩვენებურის“ გამოცემით, შემდეგ კი თურქეთში მოღვაწე სხვა ადგილობრივი ქართველები ცდილობენ ამ დიდმნიშვნელოვანი საქმის გაგრძელებას.

მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში ქართულ მწერლობაში შეინიშნება ერთი დიდი თემა, ესაა გულსტკივილი სამშობლოს მოწყვეტილი და ქართულ ხმას მონატრებული თანამემამულეთა გამო. როგორც მკვლევარები წერენ: „უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთ საქართველოს თემა, მეტადრე, ომამდე, უფრო 30–იანი წლებიდან, აჭარაში მოღვაწე მწერალთა შემოქმედებისათვის იყო ყველაზე დამახასიათებელი. ეს ნიშანდობლივი ფაქტია. აჭარა ხომ თავად იყო მონაწილე ცხოველი ისტორიული პროცესებისა; სწორედ ამ რეგიონს შეეხო ყველაზე მწვავედ გაყოფა–განაწილების, გასხვიების ტრაგიკული მოვლენები. დიდი ხანი არ იყო გასული მას შემდეგ, მოსკოვში, სტამბოლ–ანკარასა თუ ევროპაში მიღებული გადაწყვეტილებების გამო რომ გადადიოდა იგი ხელიდან ხელში. ამ პროცესების მრავალი მონაწილე ჯერაც ცოცხალი იყო და არც ეხოთა თუ ყანის ბოლოში გავლებული საზღვრების გამო ერთმანეთს მოწყვეტილი ნათესავების ტკივილს უჩანდა დაამების პირი. ამასთან, ეს იყო რეგიონი, რომელმაც საუკუნეებს გამოატარა ქართული ენა, ცნობიერება, ზნეობა, ტრადიცია... მეორე მხრივ, კი გაცოცხლებული მხატვრული სიტყვა ახლავდა იკრებდა ძალას, ახლავდა ჩნდებოდა საუკუნეებით დაგუბებული სათქმელის გამოხატვის საშუალება და იმდენად ღრმა იყო ჭრილობა, იმდენად მაღალი ღირებულებისა იყო ეს თემა, რომ თვით სოციალისტური რეალიზმის პირობებში ფეხადგმულმა ადგილობრივმა მწერლობამაც კი არაერთხელ გადააბიჯა დამკვიდრებულ ზღვარს: ყველაზე ნიშანდობლივი იდეოლოგიური ნაწარმოებებისათვისაც კი ის არის, რომ უმეტესწილად სწორედ „იქაურ ქართველებზე“ საუბარი მათში და არა მხოლოდ „მთელი თურქეთის მშრომელ მოსახლეობაზე“. ამ უკანასკნელის ბადალი უკიდურესობანი ხომ ესოდენ დამახასიათებელი იყო პროლეტარული კულტურისათვის, განსაკუთრებით მისი ადრეული ეტაპისათვის (სარფი, 2015: 309–310).

## დასკვნა

ნაშრომში „სტამბოლის ქართული კულტურის სავანე - უმნიშვნელოვანესი კერა თურქულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების მკვლევართათვის“, საუბრობს ქართველთა მიერ უცხოეთში დიდი ძალისხმევითა და რუდუნებით ნაგები საგანმანათლებლო კერების შესახებ, მათ მძიმე ხვედრზე, რამდენადაც ჟამთა სიავემ ბევრი მათგანი აღგავა პირისაგან მიწისა, განადგურდა უამრავი ძვირფასი ხელნაწერი, გასხვისდა არაერთი კერა ქართული კულტურისა, მაგრამ მაინც სასიამოვნო ფაქტად რჩება ის, რომ ერთადერთ გამონაკლისად იქცა სტამბოლის ქართული სავანე, სადაც მოღვაწეობდნენ ფილოსოფოსები, სასულიერო პირები, გამორჩეული მოღვაწენი ქართული კულტურისა და მეცნიერებისა, არაერთი ცნობილი ისტორიული პირი.

ესაუბრება მკითხველს ბიზანტიის დედოფალ მარიამის ქველმოქმედების, გალათას უბანში „ქართველთა კარის“ („გურჯუ კაფუ“) არსებობის, იქ აგებული საყდარ-სალოცავთა შესახებ და მკითხველს თვალწინ უცოცხლებს საქართველოს შრომით, ბრძოლით, ახალ-ახალი მიღწევებით, წარმატებებით სავსე ისტორიას.

სწორედ სტამბოლის ქართველთა სავანე იქცა განათლებისა და კულტურის მნიშვნელოვან ცენტრად, საქართველოდან გადახვეწილი ქართველებისთვის კი შშობლიურ კერად.

ნაშრომის ავტორი საინტერესოდ იხსენიებს არაერთი ქართველი მოღვაწის დამსახურებას, იქნება ეს ქართულ ენაზე წირვა-ლოცვის დაწესება, სასწავლებლის, წიგნთსაცავისა და სტამბის დაარსება, სამონასტრო მიწების შეძენა, ქართულ ენაზე წიგნების ბეჭდვა, რაშიც მონაწილეობას იღებდნენ ერთი მხრივ, საქართველოდან წასული და მეორე მხრივ, უცხოეთში მოღვაწე ქართველები. მათ შორის: პეტრე სურგულაძე, იმხანად ხანმოკლე პოლიტიკურ-დიპლომატიური მისიით მყოფი პავლე ინგოროყვა, ნიკოლო მიწიშვილი, პავლე მოსულიშვილი, ალექსანდრე მანველიშვილი...

სტამბულში დაარსებულ სკოლას მრავალი განათლებული და ღირსეული მამულიშვილი ჰყავს გამოზრდილი, მათ შორის მიქელ თამარაშვილი, მიქელ თარხნიშვილი, შალვა ვარდიძე და სხვები, რომლებიც საფუძვლიან განათლებასაც ღებულობდნენ და ზუსტად იცოდნენ თავიანთი ცოდნის, შესაძლებლობების გამოყენების გზები.

სასიამოვნოა იმის გააზრება, რომ სტამბოლის ქართულ სავანეში დაცული ნაწერების სრული აღწერა და შესწავლა ბევრ სასიამოვნო სიურპრიზს ჰპირდება მკვლევარებს, დაინტერესებულ პირებს, დარწმუნებული ვარ, რომ ეს სურს ამ ნაშრომის ავტორს, რომელმაც არაერთგზის დაადასტურა ქართველი ერისადმი, ქართული საქმისადმი, თავისი პროფესიისადმი, ერთგულება და დიდი სიყვარული.

## გამოყენებული ლიტერატურა

ნაჭყებია, მ. (2009). სტამბოლის ქართული სავანის ისტორიიდან, კრებ. თურქულ - ქართული კულტურული პარალელები, თბ. (Nachkebia, M. (2009). Stambolis Savanis İstoriidan, Kreh. Turkul-Kartuli Kulturuli Paralelebi, Tb.)

ნიკოლეიშვილი, ა. (2015). ქართულენოვანი ზეპირსიტყვიერება და მწერლობა თურქეთში, ქუთაისი. (Nikoleishvili, A. (2015). Kartulenovani Zepirsitkviereba da Mtserloba Turketshi, Kutaisi.)

ნიკოლეიშვილი, ა. (2010). თურქული დღიურები, ქუთაისი. (Nikoleishvili, A. (2010). Turkuli Dgiurebi, Kutaisi.)

- ნიკოლეიშვილი, ა. (2011). თურქეთში მოღვაწე ქართველი მწერალი და მამულიშვილი, ჟურნ. წელიწდეული, ქუთაისი. (Nikoleishvili, A. (2011). *Turketshi Mogvatse Kartveli Mtserali da Mamulishvili, Journ. Tselitsdeuli, Kutaisi.*)
- ფუტკარაძე, შ. (2012). სტამბოლის ქართული სავანე, თბ. (Putkaradze, Sh. (2012). *Stambolis Kartuli Savane, Tb.*)
- ფუტკარაძე, შ. (1993). ჩვენებურების ქართული, ბათუმი. (Putkaradze, Sh. (1993). *Chveneburebis Kartuli, Batumi.*)
- ფუტკარაძე, შ. (2002). ქართული საყდარი სტამბოლში, გაზეთი: „ლიტერატურული საქართველო“, 27 სექტემბერი. (Putkaradze, Sh. (2002). *Kartuli Sagdari Stambolshi, Gazeti: “Literaturuli Sakartvelo”, 27 Sektemberi.*)
- შარაძე, გ. (1993). უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი მესამე, თბ. (Sharadze, G. (1993). *Utskhoetis Tsis Kvesh, Tsigni Mesame, Tb.*)
- ხინთიბიძე, ე. (2011). ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურის კვლევის ისტორია, ე. ხინთიბიძის რედაქციით, თბ. (Khintibidze, E. (2011). *Kartul-Sazgvargaretuli Literaturis Kvevis İstoria, E. Khintibidzis Redaktsiit, Tb.*)
- დალესიო, ევგენი დალეჯიო. (1990). ქართველები კონსტანტინეპოლში, ფრანგულიდან თარგმნა, შალვა ვარდიძემ, თბ. (D’alesio, Evgeni Dalejio (1990). *Kartvelebi Konstantinepolshi, Frangulidan Targmna, Shalva Vardzidzem, Tb.*)
- სახალხო გაზეთი, 1911: წერილი სტამბოლიდან, „სახალხო გაზეთი“, 1911, 29 ივლისი. (Sakhalkho Gazeti, 1911: Tserili Stambolidan, “Sakhalkho Gazeti”, 1911, 29 İvlisi.)
- ხიმშიაშვილი, ი. (2012). გურამ ხიმშიაშვილი (მუსტაფა იაკუტი), თურქეთის ქართველები და საქართველო-თურქეთის ურთიერთობების წარსული, აწმყო და მომავალი, კრებ. საქართველო და თურქეთი: კულტურულ ურთიერთობათა ისტორია, დღევანდელი და პერსპექტივები, კონფერენციის მასალები, თბ. (Khimshiashvili, İ. (2012). *Guram Khimshiashvili (Mustafa Yakuti), Turketis Kartvelebi Da Sakartvelo-Turketis Urtiertobebis Tsarsuli, Atsmko Da Momavali, Kreb. Sakartvelo Da Turketi: Kulturul Urtiertobata İstoria, Dgevaneloba Da Perspektivebi, Konferentsiis Masalebi, Tb.*)
- გუჯეჯიანი, რ. (2012). ვახტანგ მალაკმადის (ჰაირი ჰაირიოღლუს) (1936-2002 წწ.) ცხოვრებისა დამოღვაწეობის ძირითადი ასპექტები, კრებ. საქართველო და თურქეთი: კულტურულ ურთიერთობათა ისტორია, დღევანდელი და პერსპექტივები, კონფერენციის მასალები, თბ. (Gujejiani, R. (2012). *Vakhtang Malakmadzis (Hayri Hayrioglus) (1936-2002 TsTs.) Tskhovrebisa Damogvatseobis Dziritadi Asfektebi, Kreb. Sakartvelo Da Konferentsiis Masalebi, Tb.*)
- პოპიაშვილი, ნ. (2018). ფარნა-ბექა ჩილაშვილის სასაზღვრო ფიქრები. <https://tetripiala.wordpress.com/> ბოლო ნახვა 26.03.2021. (Popiashvili, N. (2018). *Parna-Beka Chilashvilis Sasazgvro Fikrebi, https://tetripiala.wordpress.com/ ბოლო ნახვა 26.03.2021.*)
- ჩკურიშვილი, ბ. (2016). მწერალი ქართულ-თურქულ კულტურულ დიალოგში., <https://tetripiala.wordpress.com/2016/09/30> ბოლო ნახვა 20. 04. 2021. (Chkurishvili, B. (2016). *Mtserali Kartul-Turkul Kulturul Dilogshi., https://tetripiala.wordpress.com/2016/09/30 ბოლო ნახვა 20. 04. 2021.*)
- გუჯეჯიანი, რ. (2010). ტ. ფუტკარაძე, აჰმედ მელაშვილი – დიდი ქართველი (1922-1980), <http://www.chveneburi.net/ka/default.asp?bpgpid=1494&pg=1>; ბოლო ნახვა 20.03.2021. (Gujejiani, R. (2010). *T. Futkaradze, Ahmed Melashvili – Didi Kartveli (1922-1980), http://www.chveneburi.net/ka/default.asp?bpgpid=1494&pg=1; ბოლო ნახვა 20.03.2021.*)
- ჭილაია, ა. (1984). ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები, თბ. (Chilaia, A. (1984). *Literaturatmtsodneobis Tsnebebi, Tb.*)

- გაფრინდაშვილი, ნ. & მირესაშვილი, მ. (2008). ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები, თბ. (Gaprindashvili, N.&Miresashvili, M. (2008). Literaturatmtsodneobis Safudzvebi, Tb.)
- ცაგარელი, ლ. (2012). ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი, თბ. (Tsagareli, L. (2012). Literaturatmtsodneobis Shesavali, Tb.)
- რატიანი, ი. (2015). ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი, თბ. (Ratiani, I. (2015). Kartuli Mtserloba Da Msoflio Literaturuli Protsesi, Tb.)
- ქართული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურულ რუკაზე, 2016: კრებული, ქართული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურულ რუკაზე, რედ. მარია ოძელი, თბ. (Kartuli Literatura Msoflio Literaturul Rukaze, 2016: Krebuli, Kartuli Literaturula Msoflio Rukaze, Red. Marika Odzeli, Tb.)
- საქართველოს ისტორია, 2012: საქართველოს ისტორია, XIII საუკუნიდან XIX საუკუნემდე, თბ. (Sakartvelos İstoria, 2012: Sakartvelos İstoria, XIII Saukunidan XIX Saukunemde, Tb.)
- Çiloğlu, Fahrettin (1994). “Gürcüler” Dünden Bugüne, İstanbul Ansiklopedisi, cilt: 3, İstanbul, 1994, s. 453-454.
- D’allesio, Eugenio Dallegio (2003). İstanbul Gürcüleri (Çev. Fahrettin Çiloğlu), İstanbul: Sinatle.
- Kasap, Murat (2010). Osmanlı Gürcüleri, İstanbul.
- Maçitidze, Elisabed (2012). “İstanbul’daki Gürcü Katolik Kilisesi”, 7. Uluslararası Türk Kültürü Kongresi, IV, Ankara, s. 289-196.
- Marmara, Rinaldo (2006). İstanbul Latin Kilisesi ve Cemaati, İstanbul.
- Melaşvili, Ahmet Özkan (1968). Gürcüstan Tarih, Edebiyat, Sanat, Folklor, İstanbul.
- Milliyet Gazetesi: “Jilet Kralının Ölümü”, 20 Ağustos 1989, s. 3 ve 10.
- Putkaradze, Şuşana (2012). İstanbul Gürcü Ocağı, Tbilisi.
- Yentürk, Nejat (2008). “Paul Zazadze’nin Yarattığı Dev Marka: Zaza”, Oda Sanat Dergisi, sayı: 17 (<http://www.odasanat.org/index.php/2008/02/paul-zazadze%E2%80%99nin-varattigi-dev-markazaza/> Erişim Tarihi: 20. 01. 2021.)
- Yıldıztaş, Mümin (2012). Osmanlı Arşiv kayıtlarında Gürcistan ve Gürcüler, İstanbul.